საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №608

1996 წლის 16 სექტემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს სატყეო მეურნეობის დარგში არსებული მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

უკანასკნელ წლებში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად მნიშვნელოვნად შეანელა სატყეო მეურნეობის დარგის განვითარების ტემპი.მკვეთრად გაიზარდა დისბალანსი ტყის რესურსების კვლავწარმოების, ტყითსარგებლობასა და მოხმარებას შორის. მიუხედავად საქართველოს ტერიტორიის მაღალი ტყიანობის დონისა, ქვეყანაში ტყის მერქნის რესურსებით სარგებლობის მნიშვნელოვანი დეფიციტი აღინიშნება. იზრდება უკანონო ჭრების მოცულობა.

ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა დამკვიდრებამ დღის წესრიგში დააყენა ტყის მეურნეობის გაძღოლისა და ტყის რესურსების გამოყენებისადმი პრინციპულად ახლებური მიდგომა. საჭიროა დარგში შემუშავდეს მისი განვითარების გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებულ იქნება ტყეების დაცვის, აღდგენისა და ექსპლუატაციის გაუმჯობესების ძირითადი საკითხები.

სატყეო მეურნეობის დარგის საწარმოო-ეკონომიკური ფუნქციონირების ძირეული გაუმჯობესების მიზნით:

1. მთავრობის 1996 წლის 31 აგვისტოს გაფართოებულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით სატყეო დარგის აღორძინებისა და მისი შემდგომი განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავების მიზნით შეიქმნას სახელმწიფო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ნიკო ლეკიშვილი – საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე

მალხაზ ჩაჩავა – საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

თემურ ბასილია – საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეკონომიკური რეფორმების საკითხებში

ვახტანგ ბურკაძე – აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

ავთანდილ გელაძე – საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წევრი

გიორგი გიგაური – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორი

ბაკურ გულუა – საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი

გრიგოლ დათუნაიშვილი – სახელმწიფო კანცელარიის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი

ომარ ვაშაკიძე – საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აგროსამრეწველო კომპლექსის განყოფილების გამგე

კონსტანტინე ზალდასტანიშვილი – საქართველოს ვაჭრობისა და საგარეოეკონომიკური ურთიერთობების მინისტრი

დავით ზუბიტაშვილი – საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი

კახა თარგამაძე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი

მიხეილ ჭკუასელი– საქართველოს ფინანსთა მინისტრი

თეიმურაზ კანდელაკი – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო ეკონომიკისა და ხე-ტყის გადამუშავების კათედრის გამგე

როზა ლორთქიფანიძე – საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

ვალერიან მეტრეველი – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

თევდორე ნინიძე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი

ვლადიმერ პაპავა – საქართველოს ეკონომიკის მინისტრი

გოჩა პაიჭაძე– საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე

ვალერი ჩხეიძე – საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე

ნინო ჩხობაძე – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი

გივი ჯაფარიძე – საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 18 აგვისტოს გრძანებულება №445, საქართველოს პრეზიდენტის გრძანებულებებისა და განკარგულებების კრებული №16, 1997წ., აგვისტო, გვ.25

2. კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებმა მხარეებში და რაიონების გამგებლებმა.

3. კომისიამ მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგინოს სატყეო მეურნეობის დარგის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც დასახული იქნება ტყეების დაცვის, აღდგენისა და ექსპლუატაციის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებები.

4. საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტმა უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული მოცულობის ფარგლებში მოვლითი ჭრების, როგორც ტყის გაჯანსაღებისათვის საჭირო ღონისძიების განხორციელება. დამზადებული ხე-ტყის პროდუქციის რეალიზაცია სატყეო მეურნეობის სისტემის ორგანიზაციებმა აწარმოონ სატყეო ვაჭრობის, აუქციონებისა და ბირჟების მეშვეობით.

5. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ (თ. ნინიძე) სატყეო მეურნეობის სისტემის ტყის დაცვის მუშაკებისათვის სასამსახურო ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების აღდგენის მიზნით ერთ თვეში მოამზადოს სათანადო კანონპროექტი „ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ“ კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

6. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (დ. იაკობიძე):

– ტყის ფონდის კადასტრის შედგენის, ტყის მეურნეობის გაფართოებული კვლავწარმოებისა და მავნებლებისაგან დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის, აგრეთვე სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის სრული დაკომპლექტებისა და საოპერაციო ხარჯებისათვის გაითვალისწინოს შესაბამისი დაფინანსება 1997 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენისას;

– განიხილოს სატყეო მეურნეობის დარგში დასაქმებულ მუშათა კატეგორიისათვის შრომის ანაზღაურების მეთვარამეტე თანრიგის შესაბამისი დღიური სატარიფო განაკვეთის დაწესების საკითხი.

ე. შევარდნაძე

შეტანილი ცვლილებები:

1.საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულება №445, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების კრებული №16, 1997წ., აგვისტო, გვ.25

2. 1.საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 31 დეკემბრის ბრძანებულება №782, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების კრებული №24, 1997წ., დეკემბერი გვ.123